B18 ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘ

2025-26 ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

B18 ასაკობრივი დებულება

თავი I ზოგადი დებულებები
წინამდებარე დებულება ვრცელდება 2025-2026 წლების სეზონის 18-წლამდელთა ბ- ლიგის ჩემპიონატზე

მუხლი 1. ჩემპიონატის ჩატარების უფლება
ჩემპიონატის ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში "ს.კ.ე.ფ").

მუხლი 2. თამაშების ჩატარების წესები
ჩემპიონატი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
ჩემპიონატის ყველა მონაწილე ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

მუხლი 3. ჩემპიონატის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა
ჩემპიონატის ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს "ს.კ.ე.ფ" საშეჯიბრო განყოფილების მეშვეობით.

თავი II ჩემპიონატის ჩატარების მიზნები მუხლი
მუხლი 4. ჩემპიონატის ჩატარების მიზნები და ამოცანები
- საქართველოში კალათბურთის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას;
- მოზარდ კალათბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებას;
- 18-წლამდელთა ნაკრები გუნდისთვის კანდიდატთა შერჩევას;
- უძლიერესი გუნდების გამოვლენას;

თავი III ჩემპიონატებში გუნდების დაშვების წესი
მუხლი 5. დაშვების პირობები
5.1. გუნდები ჩემპიონატში დაიშვებიან 2024-2025 წლების სეზონის საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ-ლიგის შედეგების მიხედვით.
მიმდინარე წლის სეზონის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ-ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი
შენიშვნა: ბ-ლიგის თამაშები ჩატარდება ერთ წრედ. ქალაქ თბილისში.
ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად თითოეული გუნდი ვალდებულია:
5.2. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაადასტუროს ჩემპიონატში მონაწილეობა.
5.3. წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი დადგენილი ფორმით მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის 23:59 საათამდე.
5.4. გუნდს უფლება აქვს განაცხადში შეიყვანოს და მიიღოს ლიცენზია არა უმეტეს 16 (თექვსმეტი) მოთამაშესა და 6 (ექვს) ოფიციალურ პირზე.
5.5. მიმდინარე სეზონის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ 2008-2009 წლებში დაბადებული კალათბურთელები.
5.6 თითოეულ გუნდს 16-კაციან განაცხადში შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 8 კალათბურთელი ქვედა ასაკობრივი ჯგუფიდან (იგულისხმება 2010 წლიანი 4-მოთამაშე, 2011 წლიანი 3-მოთამაშე, 2012 წლიანი 2-მოთამაშე და 2013 წლიანი 1-მოთამაშე).
5.7.თითოეულ გუნდს თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს მხოლოდ თავისი ასაკობრივი გუნდებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) მოთამაშისა. დასაშვებია მათი შეცვლა სხვა მოთამაშეებით ნებისმიერ თამაშზე.
5.8 გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეს უფლება აქვს ერთდროულად ითამაშოს საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში
(2 ასაკობრივ ლიგაში) მხოლოდ თავისი კლუბის ასაკობრივი კატეგორიის გუნდში.
5.9 ბ-ლიგის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეს უფლება აქვს ითამაშოს მხოლოდ ბ და ა-ლიგაში. თავისი კლუბის ვერტიკალში (ასეთი გუნდის ყოლის შემთხვევაში).
5.10. გუნდმა თამაში კომისარს უნდა წარუდგინოს როგორც 18-წლამდელთა გუნდის მოთამაშეთა ლიცენზიები, ასევე ქვედა ასაკობრივი კატეგორიების გუნდის იმ მოთამაშეთა ლიცენზიები, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას მატჩში.
5.11. გუნდი ვალდებულია წარმოადგინოს მოთამაშის დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი.
5.12. თუ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ნაკრების შეკრებაზე ის ჩემპიონატის თამაშებზე იქნება დისკვალიფიცირებული.
5.13 31 იანვრის ჩათვლით ყველა კლუბი ყველა ასაკში, განაცხადში მყოფ მოთამაშეზე ვალდებულია ჰქონდეს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 6100) სადაც იქნება მითითებული რომ ბავშვი (მოთამაშე) ჯანმრთელია და შეუძლია გააგრძელოს მაღალი ფიზიკური დატვირთვები და ტოლერანტულია (ჯანმრთელობა ხელს უწყობს) აქტიური სპორტული დატვირთვებისადმი
კლუბია ვალდებული უზრუნველჰყოს და აიღოს სრული პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
კლუბი ანგარიშვალდებულია ფედერაციას შეატყობინოს რომ დოკუმენტაცია წესრიგშია ნებისმიერ განაცხადში მყოფ მოთამაშეზე
კლუბი ვალდებულია აუკრძალოს მოთამაშეს ტურნირში მონაწილეობა თუ ჯანმრთელობის ცნობა არ იქნება წარმოდგენილი.

კლუბი სრულიად პასუხისმგებელია მოთამაშის ჯანმრთელობაზე, თუ კლუბი ვერ წარმოადგენს (ფორმა 6100) და ასევე იმ მინიმალურ სამედიცინო შემოწმების კრიტერიუმების ამსახველ დოკუმენტაციას ამ შემთხვევაშიც კლუბი იღებს ბოლომდე პასუხისმგებლობას მოთამაშის ჯანმრთელობაზე.
ნებისმიერი სადაო საკითხი, რომელიც ეხება მოთამაშის ჯანმრთელობას, კლუბი ვალდებულია განიხილოს და თავადვე მიიღოს გადაწყვეტილება.

ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში დაუკავშირდით სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელს თორნიკე გოგიჩაიშვილს
+995 592 977 939

5.14. გუნდი ვალდებულია შემოიტანოს 18 წლამდელთა ბ-ლიგის სამონაწილეო თანხა 750 ლარი 2026 წლის 28 თებერვლამდე.
5.15. ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ანგარიშსწორება უნდა მოხდეს "ს.კ.ე.ფ."-ს საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რეკვიზიტები:
საფოსტო: 0162, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
საბანკო: GE96BG0000000182449001
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ს/კ: 204851838
ტელეფონი: 223 53 84; 514 760 760; 593 95 95 73; 599 21 22 11;
ელ.ფოსტა: geosuperleague@gbf.ge

მუხლი 6. მოთამაშეთა დამატება განაცხადში
6.1. 18 წლამდე ჩემპიონატში მონაწილე გუნდიდან გუნდში გადასვლა შესაძლებელია 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით. თითოეულ გუნდს მაქსიმუმ შეუძლია ორი მოთამაშის დამატება, თუ 16 კაციან განაცხადში აქვს დარჩენილი ადგილი.
6.2. გუნდმა შეიძლება დაიმატოს რეგულარულ ჩემპიონატში არალიცენზირებული მოთამაშე პლეიოფის დაწყებამდე.
6.3. გუნდზე გაცემული მოთამაშის ლიცენზია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მოთამაშემ მონაწილეობა რეგულარული ჩემპიონატის მატჩში, გუნდს ეთვლება ლიმიტში. მის ნაცვლად დამატებითი ლიცენზია არ გაიცემა.

თავი IV მოთხოვნები მონაწილეთა მიმართ
მუხლი 7. მოთამაშეები
7.1. ბ-ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეებს;
7.2. სათამაშო ფორმა უნდა შეესაბამებოდეს "კალათბურთის ოფიციალური წესების" მოთხოვნებს
7.3. თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სათამაშო ფორმის მინიმუმ ორი კომპლექტი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ მიღებულ „სათამაშო ფორმის სტანდარტის" მოთხოვნებს. ერთი კომპლექტი – ღია ფერის და მეორე კომპლექტი – მუქი ფერის. მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – "ს.კ.ე.ფ"-თან შეთანხმების შემთხვევაში).
7.4. გუნდს თამაშზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორი სათამაშო ბურთი.
7.5. მოთამაშის სათამაშო ნომრის შეცვლა ჩემპიონატის ბოლომდე დაუშვებელია;

მუხლი 8. მწვრთნელები, გუნდის თანმხლები პირები
8.1. თამაშის მსვლელობისას გუნდის სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის უფლება აქვთ თამაშის ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (12(თორმეტი) მოთამაშეს), მწვრთნელთა შტაბის 3(სამი) და მედპერსონალის 3(სამი) წარმომადგენლებს.
8.2. სეზონის განმავლობაში მწვრთნელი შეიძლება იყოს შეყვანილი მხოლოდ ერთი გუნდის განაცხადში.

მუხლი 9. მსაჯები და მსაჯები მაგიდასთან
9.1. ჩემპიონატის თითოეულ თამაშს ემსახურება 2(ორი) ან 3(სამი) მსაჯი, კომისარი და მაგიდასთან მსაჯების ჯგუფი რვა კაცის შემადგენლობით (მდივანი, ანგარიშ დამთვლელი(ტაბლო), დროის ოპერატორი, 24 წამის ოპერატორი, სამი ან ორი სტატისტიკოსი და მსაჯი-ინფორმატორი).
თავი V ჩემპიონატის ჩატარების დრო და სისტემა

მუხლი 10. ჩემპიონატების ჩატარების დრო
10.1 ჩემპიონატის დაწყების და დამთავრების დროს განსაზღვრავს "ს.კ.ე.ფ."-მის მიერ დამტკიცებული კალენდრის შესაბამისად. ასევე განსაზღვრავს გუნდების რაოდენობას, შეარჩევს თამაშების ჩატარების ადგილს და სპორტულ დარბაზებს.
10.2 საქართველოს ასაკობრივი გუნდების ჩემპიონატი წარმოადგენს არაკომერციულ სპორტულ ტურნირს, რომლის ძირითადი მიზანია კალათბურთის პოპულარიზაცია და მასობრივი განვითარების ხელშეწყობა როგორც დედაქალაქში, ასევე ქვეყნის რეგიონებში.
10.3.1 ჩემპიონატის სრულყოფილად, ორგანიზებულად და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მკაცრად იკრძალება მონაწილე გუნდებს შორის ლიცენზიის ნებისმიერი ფორმით (გაყიდვა, ჩუქება, გასხვისება ან სხვა სამართლებრივი გარიგება) გადაცემა.
10.3.2 იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდი ვერ ახერხებს ჩემპიონატში მონაწილეობის გაგრძელებას, მოიხსნება ჩემპიონატიდან
10.4. მონაწილე გუნდები:
მიმდინარე წელს რეგულარულ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი.

შენიშვნა: რეგულარულ ეტაპზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ურთიერთშეხვედრებს, თუ ურთიერთ შეხვედრებში ნაჩვენები შედეგი თანაბარია, შემდგომ ბურთების სხვაობას.
- თუ სამმა (ან მეტმა) გუნდმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, ყველა ამ გუნდს შორის დაითვლება ურთიერშეხვედრები. შემდგომ ბურთების სხვაობა.

10.5. შეჯიბრება ჩატარდება ორ ეტაპად.
პირველი ეტაპი:
-ჩემპიონატის მონაწილე ყველა (32)გუნდი გადანაწილებულია ორ ქვეჯგუფში (16-16 გუნდიანი ჯგუფი) და ითამაშებენ ერთ (1) წრედ ქალაქ თბილისში.

მეორე ეტაპი:
-ჯგუფებში საუკეთესო შედეგის მქონე 8-8 გუნდი ითამაშებენ მერვედფინალს, ფლეი ოფში დაშვებულია ერთი სკოლის გუნდების შეხვედრა.
ჯგუფებში უკანასკნელი 3-3 გუნდი (14-15-16 ადგილოსნები) გავარდება ბ-ლიგიდან.

1/8¼ ფინალი მერვედფინალში გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:
I- წყვილი A1-B8
II- წყვილი B1-A8
III- წყვილი A2-B7
IV- წყვილი B2-A7
V - წყვილი A3-B6
VI - წყვილი B3-A6
VII - წყვილი A4-B5
VIII - წყვილი B4-A5

მატჩების ჩატარების წესი:
- მერვედფინალს გუნდები თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით.
- პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.
- წყვილებში გამარჯვებულები ითამაშებენ მეოთხედფინალს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება მერვედფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით

1/4¼ ფინალი მერვედფინალში გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:
I- წყვილი პირველი წყვილის გამარჯვებული vs მერვე წყვილის გამარჯვებული
II- წყვილი მეორე წყვილის გამარჯვებული vs მეშვიდე წყვილის გამარჯვებული
III- წყვილი მესამე წყვილის გამარჯვებული vs მეექვსე წყვილის გამარჯვებული
IV- წყვილი მეოთხე წყვილის გამარჯვებული vs მეხუთე წყვილის გამარჯვებული

მატჩების ჩატარების წესი:
- მეოთხედფინალს გუნდები თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით.
- პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.
- წყვილებში გამარჯვებულები ითამაშებენ ნახევარფინალს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება მერვედფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

1/2 ფინალი
მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:
I წყვილი: პირველ წყვილში და მეოთხე წყვილში გამარჯვებული გუნდები.
II წყვილი: მეორე და მესამე წყვილში გამარჯვებული გუნდები.
ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება ორი მატჩის ჯამის პრინციპით. პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.

ფინალი:
წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს.
დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 3-4 ადგილებს. გუნდები 1-2 ადგილისათვის თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით., პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი. მე-3 ადგილისთვის – ერთ მოგებამდე.

შენიშვნა ფინალში გამარჯვებული გუნდი ავტომატურად მოიპოვებს ა-ლიგის საგზურს. ხოლო დამარცხებული გუნდი შეხვდება ა-ლიგაში ბოლოსწინა, მეცამეტე (13) ადგილზე გასულ გუნდს,
და 2 მატჩის ჯამში გაარკვევს ა-ლიგაში ამსვლელი/დამრჩენი გუნდის ვინაობას.

ბ - ლიგის მესამე ადგილოსანი შეხვდება ა-ლიგაში, მეთორმეტე (12) ადგილზე გასულ გუნდს, და 2 მატჩის ჯამში გაარკვევს
ა-ლიგაში ამსვლელი/დამრჩენი გუნდის ვინაობას.

B2-A13
A12-B3
შენიშვნა: ა-ლიგის საგზურს მოიპოვებს მხოლოდ ის სკოლა რომელსაც გუნდი არ ყავს ა-ლიგაში.

შენიშვნა: ბ ლიგის თითოეული ჯგუფიდან ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდი (14-15-16) გავარდება ბ ლიგიდან.

2 მატჩის ჩატარების წესი:
- თუკი გუნდები სერიაში თითო მატჩს მოიგებენ, უპირატესობა ბურთების შეფარდებას მიენიჭება.
- სერიაში დასაშვებია მატჩის ფრედ დასრულება.
- თუკი ორი მატჩის ჯამში გუნდებს ექნებათ ბურთების თანაბარი შეფარდება, დაინიშნება დამატებითი პერიოდი (პერიოდები) და სერიაში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომელსაც დამატებითი პერიოდის (პერიოდების) დასრულების შემდეგ ექნება ბურთების უკეთესი შეფარდება.

თავი VI დისციპლინარული სანქციები ჩემპიონატის მსვლელობისას
მუხლი 11. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები
დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს “სადისციპლინო ტექნიკური კომისია”.
- გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:
11.1 ტექნიკური ჯარიმისთვის მოთამაშე ან მწვრთნელი მატჩის მსვლელობისას დაჯარიმდება სტანდარტულად, ხოლო ჩემპიონატის მსვლელობისას 9 ტექნიკური ჯარიმის დაგროვების შემთხვევაში, მოთამაშეს ან მწვრთნელს შეუჩერდება ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია.
შენიშვნა: სანქცია არ ვრცელდება იმ ტექნიკურ ჯარიმებზე, რომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ
ეგრედ წოდებული „ფეიკისთვის“ (Fake).
11.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:
11.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ოთხ (4) თამაშამდე.
11.2.2 სეზონის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ოთხიდან (4) ექვს (6) თამაშამდე.
11.2.3 სეზონის განმავლობაში მესამე მსგავსი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) თამაშამდე.
11.3. თამაშში ულიცენზიო მოთამაშის მონაწილეობისათვის გუნდს ჩაეთვლება წაგება „თამაშის უფლების ჩამორთმევით” ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.
11.4. თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდა ასაკობრივი დარღვევის ფაქტი, მოთამაშე დისკვალიფიცირებული იქნება ერთი წლით, გუნდს ჩაეთვლება წაგება იმ თამაშებში, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ამ მოთამაშემ, ხოლო მწვრთნელს ორი წლით აეკრძალება გუნდის ხელმძღვანელობა “ს.კ.ე.ფ.”-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში.
11.5. თუ მოთამაშე გაძევებულია მოედნიდან მსაჯთან შეკამათების გამო ის უნდა იქნეს
დისკვალიფიცირებული მინიმუმ 1(ერთი) თამაშით.
11.6 ფიზიკური შეურაცხყოფა:
11.6.1 ”შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი”
11.6.1.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) შვიდ (7) მატჩამდე.
11.6.1.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია
ოთხ (4) თამაშამდე.
11.6.2 “უხეში ფიზიკური შეურაცჰყოფა”:
11.6.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) მატჩამდე.
11.6.2.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) შვიდ (7) მატჩამდე.
11.7 მსაჯის მიერ თამაშიდან გაძევებული მოთამაშე, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე ან გუნდის თანმხლები პირი ავტომატურად ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მომდევნო ერთი თამაშით, თუ დანაშაულის სიმძიმე არ ითვალისწინებს
უფრო მკაცრ სასჯელს.
11.8 დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებულ სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომაზე მიწვეულ პირს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა ასი (100) ლარის ოდენობით.
11.9 იმ შემთხვევაში, თუ დასჯილი მწვრთნელი, ან მოთამაშე მონაწილეობენ სხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში, დისკვალიფიკაცია გადაყვებათ სხვა ასაკობივ ლიგებზეც. თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება სეზონის ბოლომდე გათვალისწინებული კალენდარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის მომდევნო სეზონში.
11.10 გუნდის ოფიციალური პირების (ხელმძღვანელობა, მენეჯერი) არასპორტული ქცევა:
11.10.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარი.
11.11.2 სეზონის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის – ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარი
11.12 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:
-პირველი დარღვევისთვის – გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით” და ჯარიმა 400(ოთხასი) ლარით.
-იგივე დარღვევის განმეორებისას გუნდს ეძლევა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და ჯარიმდება 2000 (ორი ათასი) ლარით. 11.13 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი 11-ე მუხლში, განიხილება სადისციპლინო ტექნიკური კომისიის მიერ.
11.14 განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს ან შეამციროს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.
11.15 გუნდის წევრებისათვის დაკისრებული, დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი დაშვება ვადის გასვლის შემდეგ.
11.16 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის,გუნდის) ხელმძღვანელობას.
  თავი VII ფედერაციის და გუნდების ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
მუხლი 12. ფედერაციის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
“ს.კ.ე.ფ” გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- მსაჯების, კომისრის და მსაჯ-მდივანთა ბრიგადის მგზავრობის და თამაშის მომსახურების ხარჯებს.
- სხვა საჭირო საორგანიზაციო ხარჯებს

მუხლი 13. გუნდის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
13.1. ბ-ლიგის ჩემპიონატის თამაშებზე სხვა ქალაქში მივლინების ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

თავი VIII პროტესტი

მუხლი 14. პროტესტის შეტანის წესი
14.1. პროტესტი “ს.კ.ე.ფ.”-ში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში” ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
14.2. პროტესტის შემომტანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას 100 (ასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების

შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.
14.3. გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს “ს.კ.ე.ფ.”-ს საშეჯიბრო დეპარტამენტი.
14.4. თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს “ს.კ.ე.ფ.”-ს გამგეობა. ამ შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხის რაოდენობა იზრდება 200 (ორასი) ლარამდე.
პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

თავი IX დაჯილდოება

მუხლი 15. გუნდების მოთამაშეების, მწვრთნელების და თანმხლები პირების დაჯილდოება
15.1. გუნდი, რომელიც ჩემპიონატში დაიკავებს პირველ ადგილს, ენიჭება საქართველოს 2025-2026 წლების სეზონის ბ - ლიგის ჩემპიონის წოდება.
15.2. გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე და ექიმი ჯილდოვდებიან ჩემპიონის ოქროს მედლებით, არაუმეტეს 20 კაცისა.
15.3. გუნდების მოთამაშეები, მწვრთნელები, მწვრთნელის თანაშემწეები და ექიმები ჯილდოვდებიან ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით, არაუმეტეს 20 კაცისა თითოეული გუნდიდან.

B16 ასაკობრივი

2025-26 სეზონი

B16 ასაკობრივი დებულება

თავი I ზოგადი დებულებები
წინამდებარე დებულება ვრცელდება 2025-2026 წლების სეზონის 16-წლამდელთა ბ- ლიგის ჩემპიონატზე

მუხლი 1. ჩემპიონატის ჩატარების უფლება
ჩემპიონატის ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში "ს.კ.ე.ფ").

მუხლი 2. თამაშების ჩატარების წესები
ჩემპიონატი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
ჩემპიონატის ყველა მონაწილე ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

მუხლი 3. ჩემპიონატის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა
ჩემპიონატის ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს "ს.კ.ე.ფ" საშეჯიბრო განყოფილების მეშვეობით.

თავი II ჩემპიონატის ჩატარების მიზნები მუხლი
მუხლი 4. ჩემპიონატის ჩატარების მიზნები და ამოცანები
- საქართველოში კალათბურთის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას;
- მოზარდ კალათბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებას;
- 18-წლამდელთა ნაკრები გუნდისთვის კანდიდატთა შერჩევას;
- უძლიერესი გუნდების გამოვლენას;

თავი III ჩემპიონატებში გუნდების დაშვების წესი
მუხლი 5. დაშვების პირობები
5.1. გუნდები ჩემპიონატში დაიშვებიან 2024-2025 წლების სეზონის საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატის ბ-ლიგის შედეგების მიხედვით.
მიმდინარე წლის სეზონის 16-წლამდელთა ჩემპიონატის ბ-ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი
შენიშვნა: ბ-ლიგის თამაშები ჩატარდება ერთ წრედ. ქალაქ თბილისში.
ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად თითოეული გუნდი ვალდებულია:
5.2. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაადასტუროს ჩემპიონატში მონაწილეობა.
5.3. წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი დადგენილი ფორმით მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის 23:59 საათამდე.
5.4. გუნდს უფლება აქვს განაცხადში შეიყვანოს და მიიღოს ლიცენზია არა უმეტეს 16 (თექვსმეტი) მოთამაშესა და 6 (ექვს) ოფიციალურ პირზე.
5.5. მიმდინარე სეზონის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ 2010-2011 წლებში დაბადებული კალათბურთელები.
5.6 თითოეულ გუნდს 16-კაციან განაცხადში შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 8 კალათბურთელი ქვედა ასაკობრივი ჯგუფიდან (იგულისხმება 2012 წლიანი 4-მოთამაშე, 2013 წლიანი 3-მოთამაშე, 2014 წლიანი 2-მოთამაშე და 2015 წლიანი 1-მოთამაშე).
5.7.თითოეულ გუნდს თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს მხოლოდ თავისი ასაკობრივი გუნდებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) მოთამაშისა. დასაშვებია მათი შეცვლა სხვა მოთამაშეებით ნებისმიერ თამაშზე.
5.8 გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეს უფლება აქვს ერთდროულად ითამაშოს საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში
(2 ასაკობრივ ლიგაში) მხოლოდ თავისი კლუბის ასაკობრივი კატეგორიის გუნდში.
5.9 ბ-ლიგის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეს უფლება აქვს ითამაშოს მხოლოდ ბ და ა-ლიგაში. თავისი კლუბის ვერტიკალში (ასეთი გუნდის ყოლის შემთხვევაში).
5.10. გუნდმა თამაში კომისარს უნდა წარუდგინოს როგორც 16-წლამდელთა გუნდის მოთამაშეთა ლიცენზიები, ასევე ქვედა ასაკობრივი კატეგორიების გუნდის იმ მოთამაშეთა ლიცენზიები, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას მატჩში.
5.11. გუნდი ვალდებულია წარმოადგინოს მოთამაშის დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი.
5.12. თუ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ნაკრების შეკრებაზე ის ჩემპიონატის თამაშებზე იქნება დისკვალიფიცირებული.
5.13 31 იანვრის ჩათვლით ყველა კლუბი ყველა ასაკში, განაცხადში მყოფ მოთამაშეზე ვალდებულია ჰქონდეს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა ნ100) სადაც იქნება მითითებული რომ ბავშვი (მოთამაშე) ჯანმრთელია და შეუძლია გააგრძელოს მაღალი ფიზიკური დატვირთვები და ტოლერანტულია (ჯანმრთელობა ხელს უწყობს) აქტიური სპორტული დატვირთვებისადმი
კლუბია ვალდებული უზრუნველჰყოს და აიღოს სრული პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
კლუბი ანგარიშვალდებულია ფედერაციას შეატყობინოს რომ დოკუმენტაცია წესრიგშია ნებისმიერ განაცხადში მყოფ მოთამაშეზე
კლუბი ვალდებულია აუკრძალოს მოთამაშეს ტურნირში მონაწილეობა თუ ჯანმრთელობის ცნობა არ იქნება წარმოდგენილი.

კლუბი სრულიად პასუხისმგებელია მოთამაშის ჯანმრთელობაზე, თუ კლუბი ვერ წარმოადგენს (ფორმა ნ100) და ასევე იმ მინიმალურ სამედიცინო შემოწმების კრიტერიუმების ამსახველ დოკუმენტაციას ამ შემთხვევაშიც კლუბი იღებს ბოლომდე პასუხისმგებლობას მოთამაშის ჯანმრთელობაზე.
ნებისმიერი სადაო საკითხი, რომელიც ეხება მოთამაშის ჯანმრთელობას, კლუბი ვალდებულია განიხილოს და თავადვე მიიღოს გადაწყვეტილება.

ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში დაუკავშირდით სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელს თორნიკე გოგიჩაიშვილს
+995 592 977 939

5.14. გუნდი ვალდებულია შემოიტანოს 16 წლამდელთა ბ-ლიგის სამონაწილეო თანხა 750 ლარი 2026 წლის 28 თებერვლამდე.
5.15. ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ანგარიშსწორება უნდა მოხდეს "ს.კ.ე.ფ."-ს საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რეკვიზიტები:
საფოსტო: 0162, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
საბანკო: GE96BG0000000182449001
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ს/კ: 204851838
ტელეფონი: 223 53 84; 514 760 760; 593 95 95 73; 599 21 22 11;
ელ.ფოსტა: geosuperleague@gbf.ge

მუხლი 6. მოთამაშეთა დამატება განაცხადში
6.1. 16 წლამდე ჩემპიონატში მონაწილე გუნდიდან გუნდში გადასვლა შესაძლებელია 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით. თითოეულ გუნდს მაქსიმუმ შეუძლია ორი მოთამაშის დამატება, თუ 16 კაციან განაცხადში აქვს დარჩენილი ადგილი.
6.2. გუნდმა შეიძლება დაიმატოს რეგულარულ ჩემპიონატში არალიცენზირებული მოთამაშე პლეიოფის დაწყებამდე.
6.3. გუნდზე გაცემული მოთამაშის ლიცენზია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მოთამაშემ მონაწილეობა რეგულარული ჩემპიონატის მატჩში, გუნდს ეთვლება ლიმიტში. მის ნაცვლად დამატებითი ლიცენზია არ გაიცემა.

თავი IV მოთხოვნები მონაწილეთა მიმართ
მუხლი 7. მოთამაშეები
7.1. ბ-ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეებს;
7.2. სათამაშო ფორმა უნდა შეესაბამებოდეს "კალათბურთის ოფიციალური წესების" მოთხოვნებს
7.3. თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სათამაშო ფორმის მინიმუმ ორი კომპლექტი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ მიღებულ ,,სათამაშო ფორმის სტანდარტის" მოთხოვნებს. ერთი კომპლექტი – ღია ფერის და მეორე კომპლექტი – მუქი ფერის. მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – "ს.კ.ე.ფ"-თან შეთანხმების შემთხვევაში).
7.4. გუნდს თამაშზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორი სათამაშო ბურთი.
7.5. მოთამაშის სათამაშო ნომრის შეცვლა ჩემპიონატის ბოლომდე დაუშვებელია;

მუხლი 8. მწვრთნელები, გუნდის თანმხლები პირები
8.1. თამაშის მსვლელობისას გუნდის სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის უფლება აქვთ თამაშის ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (12(თორმეტი) მოთამაშეს), მწვრთნელთა შტაბის 3(სამი) და მედპერსონალის 3(სამი) წარმომადგენლებს.
8.2. სეზონის განმავლობაში მწვრთნელი შეიძლება იყოს შეყვანილი მხოლოდ ერთი გუნდის განაცხადში.

მუხლი 9. მსაჯები და მსაჯები მაგიდასთან
9.1. ჩემპიონატის თითოეულ თამაშს ემსახურება 2(ორი) ან 3(სამი) მსაჯი, კომისარი და მაგიდასთან მსაჯების ჯგუფი რვა კაცის შემადგენლობით (მდივანი, ანგარიშ დამთვლელი(ტაბლო), დროის ოპერატორი, 24 წამის ოპერატორი, სამი ან ორი სტატისტიკოსი და მსაჯი-ინფორმატორი).
თავი V ჩემპიონატის ჩატარების დრო და სისტემა

მუხლი 10. ჩემპიონატების ჩატარების დრო
10.1 ჩემპიონატის დაწყების და დამთავრების დროს განსაზღვრავს "ს.კ.ე.ფ."-მის მიერ დამტკიცებული კალენდრის შესაბამისად. ასევე განსაზღვრავს გუნდების რაოდენობას, შეარჩევს თამაშების ჩატარების ადგილს და სპორტულ დარბაზებს.
10.2 საქართველოს ასაკობრივი გუნდების ჩემპიონატი წარმოადგენს არაკომერციულ სპორტულ ტურნირს, რომლის ძირითადი მიზანია კალათბურთის პოპულარიზაცია და მასობრივი განვითარების ხელშეწყობა როგორც დედაქალაქში, ასევე ქვეყნის რეგიონებში.
10.3.1 ჩემპიონატის სრულყოფილად, ორგანიზებულად და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მკაცრად იკრძალება მონაწილე გუნდებს შორის ლიცენზიის ნებისმიერი ფორმით (გაყიდვა, ჩუქება, გასხვისება ან სხვა სამართლებრივი გარიგება) გადაცემა.
10.3.2 იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდი ვერ ახერხებს ჩემპიონატში მონაწილეობის გაგრძელებას, მოიხსნება ჩემპიონატიდან
10.4. მონაწილე გუნდები:
მიმდინარე წელს რეგულარულ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი.

შენიშვნა: რეგულარულ ეტაპზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ურთიერთშეხვედრებს, თუ ურთიერთ შეხვედრებში ნაჩვენები შედეგი თანაბარია, შემდგომ ბურთების სხვაობას.
- თუ სამმა (ან მეტმა) გუნდმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, ყველა ამ გუნდს შორის დაითვლება ურთიერშეხვედრები. შემდგომ ბურთების სხვაობა.

10.5. შეჯიბრება ჩატარდება ორ ეტაპად.
პირველი ეტაპი:
-ჩემპიონატის მონაწილე ყველა (32)გუნდი გადანაწილებულია ორ ქვეჯგუფში (16-16 გუნდიანი ჯგუფი) და ითამაშებენ ერთ (1) წრედ ქალაქ თბილისში.

მეორე ეტაპი:
-ჯგუფებში საუკეთესო შედეგის მქონე 8-8 გუნდი ითამაშებენ მერვედფინალს, ფლეი ოფში დაშვებულია ერთი სკოლის გუნდების შეხვედრა.
ჯგუფებში უკანასკნელი 2-2 გუნდი (15-16 ადგილოსნები) გავარდება ბ-ლიგიდან.

1/8¼ ფინალი მერვედფინალში გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:

I- წყვილი	A1-B8
II- წყვილი	B1-A8
III- წყვილი	A2-B7
IV- წყვილი	B2-A7
V - წყვილი	A3-B6
VI - წყვილი	B3-A6
VII - წყვილი	A4-B5
VIII - წყვილი	B4-A5

მატჩების ჩატარების წესი:
- მერვედფინალს გუნდები თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით.
- პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.
- წყვილებში გამარჯვებულები ითამაშებენ მეოთხედფინალს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება მერვედფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით

1/4¼ ფინალი მერვედფინალში გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:

I- წყვილი	პირველი წყვილის გამარჯვებული vs მერვე წყვილის გამარჯვებული
II- წყვილი	მეორე წყვილის გამარჯვებული vs მეშვიდე წყვილის გამარჯვებული
III- წყვილი	მესამე წყვილის გამარჯვებული vs მეექვსე წყვილის გამარჯვებული
IV- წყვილი	მეოთხე წყვილის გამარჯვებული vs მეხუთე წყვილის გამარჯვებული

მატჩების ჩატარების წესი:
- მეოთხედფინალს გუნდები თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით.
- პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.
- წყვილებში გამარჯვებულები ითამაშებენ ნახევარფინალს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება მერვედფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

1/2 ფინალი
მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:
I წყვილი: პირველ წყვილში და მეოთხე წყვილში გამარჯვებული გუნდები.
II წყვილი: მეორე და მესამე წყვილში გამარჯვებული გუნდები.
ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება ორი მატჩის ჯამის პრინციპით. პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.

ფინალი:
წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს.
დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 3-4 ადგილებს. გუნდები 1-2 ადგილისათვის თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით., პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი. მე-3 ადგილისთვის – ერთ მოგებამდე.

შენიშვნა ფინალში გამარჯვებული გუნდი ავტომატურად მოიპოვებს ა-ლიგის საგზურს. ხოლო დამარცხებული გუნდი შეხვდება ა-ლიგაში ბოლოსწინა, მეცამეტე (13) ადგილზე გასულ გუნდს,
და 2 მატჩის ჯამში გაარკვევს ა-ლიგაში ამსვლელი/დამრჩენი გუნდის ვინაობას.

ბ - ლიგის მესამე ადგილოსანი შეხვდება ა-ლიგაში, მეთორმეტე (12) ადგილზე გასულ გუნდს, და 2 მატჩის ჯამში გაარკვევს
ა-ლიგაში ამსვლელი/დამრჩენი გუნდის ვინაობას.

B2-A13
A12-B3

შენიშვნა: ა-ლიგის საგზურს მოიპოვებს მხოლოდ ის სკოლა რომელსაც გუნდი არ ყავს ა-ლიგაში.

შენიშვნა: ბ ლიგის თითოეული ჯგუფიდან ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდი (15-16) გავარდება ბ ლიგიდან.

2 მატჩის ჩატარების წესი:
- თუკი გუნდები სერიაში თითო მატჩს მოიგებენ, უპირატესობა ბურთების შეფარდებას მიენიჭება.
- სერიაში დასაშვებია მატჩის ფრედ დასრულება.
- თუკი ორი მატჩის ჯამში გუნდებს ექნებათ ბურთების თანაბარი შეფარდება, დაინიშნება დამატებითი პერიოდი (პერიოდები) და სერიაში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომელსაც დამატებითი პერიოდის (პერიოდების) დასრულების შემდეგ ექნება ბურთების უკეთესი შეფარდება.

თავი VI დისციპლინარული სანქციები ჩემპიონატის მსვლელობისას
მუხლი 11. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები
დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს “სადისციპლინო ტექნიკური კომისია”.
- გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:
11.1 ტექნიკური ჯარიმისთვის მოთამაშე ან მწვრთნელი მატჩის მსვლელობისას დაჯარიმდება სტანდარტულად, ხოლო ჩემპიონატის მსვლელობისას 9 ტექნიკური ჯარიმის დაგროვების შემთხვევაში, მოთამაშეს ან მწვრთნელს შეუჩერდება ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია.
შენიშვნა: სანქცია არ ვრცელდება იმ ტექნიკურ ჯარიმებზე, რომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ
ეგრედ წოდებული „ფეიკისთვის“ (Fake).
11.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:
11.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ოთხ (4) თამაშამდე.
11.2.2 სეზონის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ოთხიდან (4) ექვს (6) თამაშამდე.
11.2.3 სეზონის განმავლობაში მესამე მსგავსი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) თამაშამდე.
11.3. თამაშში ულიცენზიო მოთამაშის მონაწილეობისათვის გუნდს ჩაეთვლება წაგება „თამაშის უფლების ჩამორთმევით” ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.
11.4. თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდა ასაკობრივი დარღვევის ფაქტი, მოთამაშე დისკვალიფიცირებული იქნება ერთი წლით, გუნდს ჩაეთვლება წაგება იმ თამაშებში, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ამ მოთამაშემ, ხოლო მწვრთნელს ორი წლით აეკრძალება გუნდის ხელმძღვანელობა “ს.კ.ე.ფ.”-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში.
11.5. თუ მოთამაშე გაძევებულია მოედნიდან მსაჯთან შეკამათების გამო ის უნდა იქნეს
დისკვალიფიცირებული მინიმუმ 1(ერთი) თამაშით.
11.6 ფიზიკური შეურაცხყოფა:
11.6.1 ”შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი”
11.6.1.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) შვიდ (7) მატჩამდე.
11.6.1.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია
ოთხ (4) თამაშამდე.
11.6.2 “უხეში ფიზიკური შეურაცჰყოფა”:
11.6.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) მატჩამდე.
11.6.2.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) შვიდ (7) მატჩამდე.
11.7 მსაჯის მიერ თამაშიდან გაძევებული მოთამაშე, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე ან გუნდის თანმხლები პირი ავტომატურად ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მომდევნო ერთი თამაშით, თუ დანაშაულის სიმძიმე არ ითვალისწინებს
უფრო მკაცრ სასჯელს.
11.8 დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებულ სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომაზე მიწვეულ პირს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა ასი (100) ლარის ოდენობით.
11.9 იმ შემთხვევაში, თუ დასჯილი მწვრთნელი, ან მოთამაშე მონაწილეობენ სხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში, დისკვალიფიკაცია გადაყვებათ სხვა ასაკობივ ლიგებზეც. თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება სეზონის ბოლომდე გათვალისწინებული კალენდარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის მომდევნო სეზონში.
11.10 გუნდის ოფიციალური პირების (ხელმძღვანელობა, მენეჯერი) არასპორტული ქცევა:
11.10.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარი.
11.11.2 სეზონის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის – ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარი
11.12 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:
-პირველი დარღვევისთვის – გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით” და ჯარიმა 400(ოთხასი) ლარით.
-იგივე დარღვევის განმეორებისას გუნდს ეძლევა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და ჯარიმდება 2000 (ორი ათასი) ლარით. 11.13 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი 11-ე მუხლში, განიხილება სადისციპლინო ტექნიკური კომისიის მიერ.
11.14 განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს ან შეამციროს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.
11.15 გუნდის წევრებისათვის დაკისრებული, დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი დაშვება ვადის გასვლის შემდეგ.
11.16 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის,გუნდის) ხელმძღვანელობას.
  თავი VII ფედერაციის და გუნდების ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
მუხლი 12. ფედერაციის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
“ს.კ.ე.ფ” გაიღებს შემდეგ ხარჯებს:
- მსაჯების, კომისრის და მსაჯ-მდივანთა ბრიგადის მგზავრობის და თამაშის მომსახურების ხარჯებს.
- სხვა საჭირო საორგანიზაციო ხარჯებს

მუხლი 13. გუნდის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
13.1. ბ-ლიგის ჩემპიონატის თამაშებზე სხვა ქალაქში მივლინების ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

თავი VIII პროტესტი

მუხლი 14. პროტესტის შეტანის წესი
14.1. პროტესტი “ს.კ.ე.ფ.”-ში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში” ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
14.2. პროტესტის შემომტანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას 100 (ასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების

შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.
14.3. გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს “ს.კ.ე.ფ.”-ს საშეჯიბრო დეპარტამენტი.
14.4. თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს “ს.კ.ე.ფ.”-ს გამგეობა. ამ შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხის რაოდენობა იზრდება 200 (ორასი) ლარამდე.
პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

თავი IX დაჯილდოება

მუხლი 15. გუნდების მოთამაშეების, მწვრთნელების და თანმხლები პირების დაჯილდოება
15.1. გუნდი, რომელიც ჩემპიონატში დაიკავებს პირველ ადგილს, ენიჭება საქართველოს 2025-2026 წლების სეზონის ბ - ლიგის ჩემპიონის წოდება.
15.2. გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე და ექიმი ჯილდოვდებიან ჩემპიონის ოქროს მედლებით, არაუმეტეს 20 კაცისა.
15.3. გუნდების მოთამაშეები, მწვრთნელები, მწვრთნელის თანაშემწეები და ექიმები ჯილდოვდებიან ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით, არაუმეტეს 20 კაცისა თითოეული გუნდიდან.

BIG ASAKOBRIVI

2025-26 სეზონი

ᲑᲘᲙ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

თავი I ზოგადი დებულებები
წინამდებარე დებულება ვრცელდება 2025-2026 წლების სეზონის 14-წლამდელთა ბ- ლიგის ჩემპიონატზე

მუხლი 1. ჩემპიონატის ჩატარების უფლება
ჩემპიონატის ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში "ს.კ.ე.ფ").

მუხლი 2. თამაშების ჩატარების წესები
ჩემპიონატი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
ჩემპიონატის ყველა მონაწილე ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.
- ჩემპიონატი ჩატარდება 6-ნომრის ბურთით
- ჩემპიონატში იკრძალება გუნდების მიერ ზონური დაცვის თამაში
- ჩემპიონატში იკრძალება ზონური პრესინგის თამაში

მუხლი 3. ჩემპიონატის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა
ჩემპიონატის ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს "ს.კ.ე.ფ" საშეჯიბრო განყოფილების მეშვეობით.

თავი II ჩემპიონატის ჩატარების მიზნები მუხლი
მუხლი 4. ჩემპიონატის ჩატარების მიზნები და ამოცანები
- საქართველოში კალათბურთის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას;
- მოზარდ კალათბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებას;
- საკალათბურთო სკოლების/კლუბების და გუნდების მუშაობის შეჯამებას;
- უძლიერესი გუნდების გამოვლენას;

თავი III ჩემპიონატებში გუნდების დაშვების წესი
მუხლი 5. დაშვების პირობები
5.1. გუნდები ჩემპიონატში დაიშვებიან 2024-2025 წლების სეზონის საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატის ბ-ლიგის შედეგების მიხედვით.
მიმდინარე წლის სეზონის 14-წლამდელთა ჩემპიონატის ბ-ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი
შენიშვნა: ბ-ლიგის თამაშები ჩატარდება ერთ წრედ. ქალაქ თბილისში.
ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად თითოეული გუნდი ვალდებულია:
5.2. მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაადასტუროს ჩემპიონატში მონაწილეობა.
5.3. წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი დადგენილი ფორმით მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის 23:59 საათამდე.
5.4. გუნდს უფლება აქვს განაცხადში შეიყვანოს და მიიღოს ლიცენზია არა უმეტეს 16 (თექვსმეტი) მოთამაშესა და 6 (ექვს) ოფიციალურ პირზე.
5.5. მიმდინარე სეზონის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ 2012-2013 წლებში დაბადებული კალათბურთელები.
5.6 თითოეულ გუნდს 16-კაციან განაცხადში შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 5 კალათბურთელი ქვედა ასაკობრივი ჯგუფიდან (იგულისხმება 2014-წლიანი 4-მოთამაშე, 2015-წლიანი 1-მოთამაშე)
5.7.თითოეულ გუნდს თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს მხოლოდ თავისი ასაკობრივი გუნდებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) მოთამაშისა. დასაშვებია მათი შეცვლა სხვა მოთამაშეებით ნებისმიერ თამაშზე.
5.8 გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეს უფლება აქვს ერთდროულად ითამაშოს საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში
(2 ასაკობრივ ლიგაში) მხოლოდ თავისი კლუბის ასაკობრივი კატეგორიის გუნდში.
5.9 ბ-ლიგის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეს უფლება აქვს ითამაშოს მხოლოდ ბ და ა-ლიგაში. თავისი კლუბის ვერტიკალში (ასეთი გუნდის ყოლის შემთხვევაში).
5.10. გუნდმა თამაში კომისარს უნდა წარუდგინოს როგორც 14-წლამდელთა გუნდის მოთამაშეთა ლიცენზიები, ასევე ქვედა ასაკობრივი კატეგორიების გუნდის იმ მოთამაშეთა ლიცენზიები, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას მატჩში.
5.11. გუნდი ვალდებულია წარმოადგინოს მოთამაშის დაბადების ან პირადობის მოწმობის ასლი.
5.12. თუ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ნაკრების შეკრებაზე ის ჩემპიონატის თამაშებზე იქნება დისკვალიფიცირებული.
5.13 31 იანვრის ჩათვლით ყველა კლუბი ყველა ასაკში, განაცხადში მყოფ მოთამაშეზე ვალდებულია ჰქონდეს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 6100) სადაც იქნება მითითებული რომ ბავშვი (მოთამაშე) ჯანმრთელია და შეუძლია გააგრძელოს მაღალი ფიზიკური დატვირთვები და ტოლერანტულია (ჯანმრთელობა ხელს უწყობს) აქტიური სპორტული დატვირთვებისადმი
კლუბია ვალდებული უზრუნველჰყოს და აიღოს სრული პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
კლუბი ანგარიშვალდებულია ფედერაციას შეატყობინოს რომ დოკუმენტაცია წესრიგშია ნებისმიერ განაცხადში მყოფ მოთამაშეზე
კლუბი ვალდებულია აუკრძალოს მოთამაშეს ტურნირში მონაწილეობა თუ ჯანმრთელობის ცნობა არ იქნება წარმოდგენილი.

კლუბი სრულიად პასუხისმგებელია მოთამაშის ჯანმრთელობაზე, თუ კლუბი ვერ წარმოადგენს (ფორმა 6100) და ასევე იმ მინიმალურ სამედიცინო შემოწმების კრიტერიუმების ამსახველ დოკუმენტაციას ამ შემთხვევაშიც კლუბი იღებს ბოლომდე პასუხისმგებლობას მოთამაშის ჯანმრთელობაზე.
ნებისმიერი სადაო საკითხი, რომელიც ეხება მოთამაშის ჯანმრთელობას, კლუბი ვალდებულია განიხილოს და თავადვე მიიღოს გადაწყვეტილება.

ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში დაუკავშირდით სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელს თორნიკე გოგიჩაიშვილს
+995 592 977 939
5.14. გუნდი ვალდებულია შემოიტანოს 14 წლამდელთა ბ-ლიგის სამონაწილეო თანხა 750 ლარი 2026 წლის 28 თებერვლამდე.
5.15. ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ანგარიშსწორება უნდა მოხდეს "ს.კ.ე.ფ."-ს საბანკო ანგარიშზე.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რეკვიზიტები:
საფოსტო: 0162, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
საბანკო: GE96BG0000000182449001
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ს/კ: 204851838
ტელეფონი: 223 53 84; 514 760 760; 593 95 95 73; 599 21 22 11;
ელ.ფოსტა: geosuperleague@gbf.ge

მუხლი 6. მოთამაშეთა დამატება განაცხადში
6.1. 14 წლამდე ჩემპიონატში მონაწილე გუნდიდან გუნდში გადასვლა შესაძლებელია 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით. თითოეულ გუნდს მაქსიმუმ შეუძლია ორი მოთამაშის დამატება, თუ 16 კაციან განაცხადში აქვს დარჩენილი ადგილი.
6.2. გუნდმა შეიძლება დაიმატოს რეგულარულ ჩემპიონატში არალიცენზირებული მოთამაშე პლეიოფის დაწყებამდე.
6.3. გუნდზე გაცემული მოთამაშის ლიცენზია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მოთამაშემ მონაწილეობა რეგულარული ჩემპიონატის მატჩში, გუნდს ეთვლება ლიმიტში. მის ნაცვლად დამატებითი ლიცენზია არ გაიცემა.

თავი IV მოთხოვნები მონაწილეთა მიმართ
მუხლი 7. მოთამაშეები
7.1. ბ-ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეებს;
7.2. სათამაშო ფორმა უნდა შეესაბამებოდეს "კალათბურთის ოფიციალური წესების" მოთხოვნებს
7.3. თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სათამაშო ფორმის მინიმუმ ორი კომპლექტი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ მიღებულ „სათამაშო ფორმის სტანდარტის" მოთხოვნებს. ერთი კომპლექტი – ღია ფერის და მეორე კომპლექტი – მუქი ფერის. მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – "ს.კ.ე.ფ"-თან შეთანხმების შემთხვევაში).
7.4. გუნდს თამაშზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორი სათამაშო ბურთი (6-ნომერი).
7.5. მოთამაშის სათამაშო ნომრის შეცვლა ჩემპიონატის ბოლომდე დაუშვებელია;

მუხლი 8. მწვრთნელები, გუნდის თანმხლები პირები
8.1. თამაშის მსვლელობისას გუნდის სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის უფლება აქვთ თამაშის ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (12(თორმეტი) მოთამაშეს), მწვრთნელთა შტაბის 3(სამი) და მედპერსონალის 3(სამი) წარმომადგენლებს.
8.2. სეზონის განმავლობაში მწვრთნელი შეიძლება იყოს შეყვანილი მხოლოდ ერთი გუნდის განაცხადში.

მუხლი 9. მსაჯები და მსაჯები მაგიდასთან
9.1. ჩემპიონატის თითოეულ თამაშს ემსახურება 2(ორი) მსაჯი,(მთვარი მსაჯი) და მაგიდასთან მსაჯების ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით (მდივანი, ანგარიშ დამთვლელი(ტაბლო), დროის ოპერატორი, 24 წამის ოპერატორი, და მსაჯი-ინფორმატორი).
თავი V ჩემპიონატის ჩატარების დრო და სისტემა

მუხლი 10. ჩემპიონატების ჩატარების დრო
10.1 ჩემპიონატის დაწყების და დამთავრების დროს განსაზღვრავს "ს.კ.ე.ფ."-მის მიერ დამტკიცებული კალენდრის შესაბამისად. ასევე განსაზღვრავს გუნდების რაოდენობას, შეარჩევს თამაშების ჩატარების ადგილს და სპორტულ დარბაზებს.
10.2 საქართველოს ასაკობრივი გუნდების ჩემპიონატი წარმოადგენს არაკომერციულ სპორტულ ტურნირს, რომლის ძირითადი მიზანია კალათბურთის პოპულარიზაცია და მასობრივი განვითარების ხელშეწყობა როგორც დედაქალაქში, ასევე ქვეყნის რეგიონებში.
10.3.1 ჩემპიონატის სრულყოფილად, ორგანიზებულად და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მკაცრად იკრძალება მონაწილე გუნდებს შორის ლიცენზიის ნებისმიერი ფორმით (გაყიდვა, ჩუქება, გასხვისება ან სხვა სამართლებრივი გარიგება) გადაცემა.
10.3.2 იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდი ვერ ახერხებს ჩემპიონატში მონაწილეობის გაგრძელებას, მისი ადგილი დაეთმობა ქვედა ლიგის შესაბამის გუნდს სპორტული შედეგების გათვალისწინებით.
10.4. მონაწილე გუნდები:
მიმდინარე წელს რეგულარულ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი.

შენიშვნა: რეგულარულ ეტაპზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ურთიერთშეხვედრებს, თუ ურთიერთ შეხვედრებში ნაჩვენები შედეგი თანაბარია, შემდგომ ბურთების სხვაობას.
- თუ სამმა (ან მეტმა) გუნდმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, ყველა ამ გუნდს შორის დაითვლება ურთიერშეხვედრები. შემდგომ ბურთების სხვაობა.

10.5. შეჯიბრება ჩატარდება ორ ეტაპად.
პირველი ეტაპი:
-ჩემპიონატის მონაწილე ყველა (32)გუნდი გადანაწილებულია ორ ქვეჯგუფში (16-16 გუნდიანი ჯგუფი) და ითამაშებენ ერთ (1) წრედ ქალაქ თბილისში.

მეორე ეტაპი:
-ჯგუფებში საუკეთესო შედეგის მქონე 8-8 გუნდი ითამაშებენ მერვედფინალს, ფლეი ოფში დაშვებულია ერთი სკოლის გუნდების შეხვედრა.
ჯგუფებში უკანასკნელი 2-2 გუნდი (15-16 ადგილოსნები) გავარდება ბ-ლიგიდან.

1/8¼ ფინალი მერვედფინალში გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:

I- წყვილი	A1-B8
II- წყვილი	B1-A8
III- წყვილი	A2-B7
IV- წყვილი	B2-A7
V - წყვილი	A3-B6
VI - წყვილი	B3-A6
VII - წყვილი	A4-B5
VIII - წყვილი	B4-A5

მატჩების ჩატარების წესი:
- მერვედფინალს გუნდები თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით.
- პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.
- წყვილებში გამარჯვებულები ითამაშებენ მეოთხედფინალს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება მერვედფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით

1/4¼ ფინალი მერვედფინალში გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:

I- წყვილი	პირველი წყვილის გამარჯვებული vs მერვე წყვილის გამარჯვებული
II- წყვილი	მეორე წყვილის გამარჯვებული vs მეშვიდე წყვილის გამარჯვებული
III- წყვილი	მესამე წყვილის გამარჯვებული vs მეექვსე წყვილის გამარჯვებული
IV- წყვილი	მეოთხე წყვილის გამარჯვებული vs მეხუთე წყვილის გამარჯვებული

მატჩების ჩატარების წესი:
- მეოთხედფინალს გუნდები თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით.
- პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.
- წყვილებში გამარჯვებულები ითამაშებენ ნახევარფინალს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება მერვედფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

1/2 ფინალი
მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები დაწყვილდებიან შემდეგნაირად:
I წყვილი: პირველ წყვილში და მეოთხე წყვილში გამარჯვებული გუნდები.
II წყვილი: მეორე და მესამე წყვილში გამარჯვებული გუნდები.
ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება ორი მატჩის ჯამის პრინციპით. პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი.

ფინალი:
წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს.
დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 3-4 ადგილებს. გუნდები 1-2 ადგილისათვის თამაშობენ ორი მატჩის ჯამის პრინციპით., პირველ შეხვედრაში მასპინძელი იქნება წყვილში მეორე გუნდი. მე-3 ადგილისთვის – ერთ მოგებამდე.

შენიშვნა ფინალში გამარჯვებული გუნდი ავტომატურად მოიპოვებს ა-ლიგის საგზურს. ხოლო დამარცხებული გუნდი შეხვდება ა-ლიგაში ბოლოსწინა, მეცამეტე (13) ადგილზე გასულ გუნდს,
და 2 მატჩის ჯამში გაარკვევს ა-ლიგაში ამსვლელი/დამრჩენი გუნდის ვინაობას.

ბ - ლიგის მესამე ადგილოსანი შეხვდება ა-ლიგაში, მეთორმეტე (12) ადგილზე გასულ გუნდს, და 2 მატჩის ჯამში გაარკვევს
ა-ლიგაში ამსვლელი/დამრჩენი გუნდის ვინაობას.

B2-A13
A12-B3
შენიშვნა: ა-ლიგის საგზურს მოიპოვებს მხოლოდ ის სკოლა რომელსაც გუნდი არ ყავს ა-ლიგაში.

შენიშვნა: ბ ლიგის თითოეული ჯგუფიდან ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდი (15-16) გავარდება ბ ლიგიდან.

2 მატჩის ჩატარების წესი:
- თუკი გუნდები სერიაში თითო მატჩს მოიგებენ, უპირატესობა ბურთების შეფარდებას მიენიჭება.
- სერიაში დასაშვებია მატჩის ფრედ დასრულება.
- თუკი ორი მატჩის ჯამში გუნდებს ექნებათ ბურთების თანაბარი შეფარდება, დაინიშნება დამატებითი პერიოდი (პერიოდები) და სერიაში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომელსაც დამატებითი პერიოდის (პერიოდების) დასრულების შემდეგ ექნება ბურთების უკეთესი შეფარდება.

თავი VI დისციპლინარული სანქციები ჩემპიონატის მსვლელობისას

მუხლი 11. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები

დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს “სადისციპლინო ტექნიკური კომისია”.

- გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:

11.1 ტექნიკური ჯარიმისთვის მოთამაშე ან მწვრთნელი მატჩის მსვლელობისას დაჯარიმდება სტანდარტულად, ხოლო ჩემპიონატის მსვლელობისას 9 ტექნიკური ჯარიმის დაგროვების შემთხვევაში, მოთამაშეს ან მწვრთნელს შეუჩერდება ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია.

შენიშვნა: სანქცია არ ვრცელდება იმ ტექნიკურ ჯარიმებზე, რომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ
ეგრედ წოდებული „ფეიკისთვის“ (Fake).

11.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:

11.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ოთხ (4) თამაშამდე.

11.2.2 სეზონის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ოთხიდან (4) ექვს (6) თამაშამდე.

11.2.3 სეზონის განმავლობაში მესამე მსგავსი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) თამაშამდე.

11.3. თამაშში ულიცენზიო მოთამაშის მონაწილეობისათვის გუნდს ჩაეთვლება წაგება „თამაშის უფლების ჩამორთმევით” ანგარიშით 0:20 და დაეწერება 0 ქულა.

11.4. თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდა ასაკობრივი დარღვევის ფაქტი, მოთამაშე დისკვალიფიცირებული იქნება ერთი წლით, გუნდს ჩაეთვლება წაგება იმ თამაშებში, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ამ მოთამაშემ, ხოლო მწვრთნელს ორი წლით აეკრძალება გუნდის ხელმძღვანელობა “ს.კ.ე.ფ.”-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში.

11.5. თუ მოთამაშე გაძევებულია მოედნიდან მსაჯთან შეკამათების გამო ის უნდა იქნეს
დისკვალიფიცირებული მინიმუმ 1(ერთი) თამაშით.

11.6 ფიზიკური შეურაცხყოფა:

11.6.1 ”შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი”

11.6.1.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) შვიდ (7) მატჩამდე.

11.6.1.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია
ოთხ (4) თამაშამდე.

11.6.2 “უხეში ფიზიკური შეურაცჰყოფა”:

11.6.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) მატჩამდე.

11.6.2.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) შვიდ (7) მატჩამდე.

11.7 მსაჯის მიერ თამაშიდან გაძევებული მოთამაშე, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე ან გუნდის თანმხლები პირი ავტომატურად ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მომდევნო ერთი თამაშით, თუ დანაშაულის სიმძიმე არ ითვალისწინებს
უფრო მკაცრ სასჯელს.

11.8 დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებულ სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომაზე მიწვეულ პირს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა ასი (100) ლარის ოდენობით.

11.9 იმ შემთხვევაში, თუ დასჯილი მწვრთნელი, ან მოთამაშე მონაწილეობენ სხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში, დისკვალიფიკაცია გადაყვებათ სხვა ასაკობივ ლიგებზეც. თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება სეზონის ბოლომდე გათვალისწინებული კალენდარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის მომდევნო სეზონში.

11.10 გუნდის ოფიციალური პირების (ხელმძღვანელობა, მენეჯერი) არასპორტული ქცევა:

11.10.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარი.

11.11.2 სეზონის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის – ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარი

11.12 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:

-პირველი დარღვევისთვის – გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით” და ჯარიმა 400(ოთხასი) ლარით.

-იგივე დარღვევის განმეორებისას გუნდს ეძლევა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და ჯარიმდება 2000 (ორი ათასი) ლარით. 11.13 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის მოყვანილი 11-ე მუხლში, განიხილება სადისციპლინო ტექნიკური კომისიის მიერ.

11.14 განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს ან შეამციროს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.

11.15 გუნდის წევრებისათვის დაკისრებული, დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი დაშვება ვადის გასვლის შემდეგ.

11.16 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის,გუნდის) ხელმძღვანელობას.

თავი VII ფედერაციის და გუნდების ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

მუხლი 12. ფედერაციის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

“ს.კ.ე.ფ” გაიღებს შემდეგ ხარჯებს:

- მსაჯების, კომისრის და მსაჯ-მდივანთა ბრიგადის მგზავრობის და თამაშის მომსახურების ხარჯებს.
- სხვა საჭირო საორგანიზაციო ხარჯებს

მუხლი 13. გუნდის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

13.1. ჩემპიონატის თამაშებზე სხვა ქალაქში მივლინების ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

13.2. მსაჯების და კომისრის სასტუმროში მიღება 3-ჯერადი კვებით.

13.3 სტუმარი გუნდისთვის, მსაჯებისი მსაჯ მდივნების და კომისრისთვის განკუთვნილი მინერალური წყლის ხარჯებს.

13.4 მასპინძელი გუნდი ვალდებულია დამატებით აანაზღაუროს მსაჯების, კომისრის, საჭიროების შემთხვევაში მსაჯ-მდივნების 2 (ორი) დღე-ღამით სასტუმროში მიღების და 3-ჯერადი კვების ხარჯები.

13.5 თუ გუნდი ვერ უზრუნველყოფს 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (ობიექტური მიზეზების
გამო) მას უფლება ეძლევა აღნიშნული ვალდებულებებისთვის საჭირო თანხა ჩარიცხოს ს.კ.ე.ფ-ის საბანკო ანგარიშზე.

13.6 მასპინძელი გუნდი ვალდებულია თამაშის დასრულების შემდგომ უზრუნველყოს მსაჯების, კომისრის და მდივნებისთვის კვება საკუთარი სახსრებით - არ შესრულების შემთხვევაში მასპინძელი გუნდი დაჯარიმდება 500 ლარით.
13.7 მასპინძელი გუნდი ვალდებულია უზრუნველყოს გასახდელი მსაჯებისთვის: სველი წერტილებით, მაგიდით და სკამებით. ამავდროულად მსაჯ მდივნებისთვის მოსასვენებელი ოთახით. არ შესრულებისთვის ჯარიმა 500 ლარი.

თავი VIII პროტესტი

მუხლი 14. პროტესტის შეტანის წესი

14.1. პროტესტი "ს.კ.ე.ფ."-ში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში" ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
14.2. პროტესტის შემომტანი გუნდი იხდის წინასწარ თანხას 100 (ასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების
შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.
14.3. გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს "ს.კ.ე.ფ."-ს საშეჯიბრო დეპარტამენტი.
14.4. თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს "ს.კ.ე.ფ."-ს გამგეობა. ამ
შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხის რაოდენობა იზრდება 200 (ორასი) ლარამდე.
პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა უბრუნდება გუნდს.

თავი IX დაჯილდოება

მუხლი 15. გუნდების მოთამაშეების, მწვრთნელების და თანმხლები პირების დაჯილდოება

15.1. გუნდი, რომელიც ჩემპიონატში დაიკავებს პირველ ადგილს, ენიჭება საქართველოს
2025-2026 წლების სეზონის ბ - ლიგის 14-წლამდელებთა ჩემპიონის წოდება.
15.2. გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე და ექიმი ჯილდოვდებიან ჩემპიონის
ოქროს მედლებით, არაუმეტეს 20 კაცისა.
15.3. გუნდების მოთამაშეები, მწვრთნელები, მწვრთნელის თანაშემწეები და ექიმები ჯილდოვდებიან ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით, არაუმეტეს 20 კაცისა თითოეული გუნდიდან.